# საქართველოს გაზეთი

მაისის თ დღესა ჩყით წელსა თფილისში.

**No. 10.**


## ს ა ნ კ ტ პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ს.

### უმაღლესი ბრძანება.

მარტის კდ. რიცხვსა.

გარდმოყვანების

სნეულობისგამო ნეიშლოტსკის ქვეითის პოლკის კაპიტანი ეოზნიცა გეორგიევსკის შინაგანის მცველის ბატალიონში.

მარტის კე. რიცხვსა.

დაინიშნების.

ქვეითის მხედრობის ვორონეჟის პოლკის მაიორი კვასნინკოვსკოი ელისაბედპოლის ციხეში კომენდანტად.

მარტის კე. რიცხვსა.

შინაგანის მცველის თბილისის ბატალიონის შტაბს-კაპიტანი ზორინი მესამეს უკრაინის პოლკში შტაბს-როტმისტრად.

მარტის კზ. რიცხვსა.

გარდმოყვანებიან.

სნეულობისგამო მეათემეტე იეგერის პოლკის კაპიტანი რედკინი რუზანის შინაგანის მცველის ბატალიონში. პოდპორუჩიკი სამარინი ნიჟეგოროდის ღუბერნიის არდატოვსკის მოსამსახურეთ ინვალიდთ კომანდაში.

მარტის კდ. რიცხვსა.

განიწების სამსახურში.

განთავისუფლებული უგლიცკის ქვეითის პოლკის პოდპორუჩიკი ბოჩკარევი ბელევსკის პოლკში.

ჰბოძებიათ.

განწესებულთ წელიწადთ სამსახურით შესრულებისათვის ქვეითის მხედრობის სუზდალსკის პოლკის უნტერ-ოფიცერთ არტამონოვს და ასტახოვს ჰრაპორშიკობა და განწესებულან იქაურს გარნიზონის პოლკში.

### გამოცხადებანი.

ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან მიწოდებულნი არიან ქვემოხსენებულის მამულების სყიდვის მოწადენი, რადგან ისინი საკუთარის ვალების მიუცემლობისათვის დადებულნი არიან საქვეყნოს გასასყიდად.

ა [illegible] ნახი ცხინვალელთ პორაკლაშვილის

და ნოსიამ ავეტიქოვისა გორის უეზდის სოფლებში ზარაკალაშვილისა ქვეშე ნიქოზსა და ავეტიქოვისა ზემონიქოზს იმ ვალის პასუხის გასაცემად, რომელიც ჰმართებსთ მათ თბილისელის მოქალაქის ტერტერამ იოანგულოვისა, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის იზ. კგ. და დ.

ბ. ორის დღის სახნავს მიწაში ჩაშენებული ვენახი ქვევრებითა, მარნითა და საწნახლითა გარდაცვალებულის უგრისის მცხოვრების ხეჩნია ვარმიელასი გორის უეზდის სოფელს ზემოხვითს იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას ცხინვალელის ხტევანე შერმაზანოვისა იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის კზ. და ივნისის ი და იგ.

გ. სახლი თბილისელის იოანე ბაყალბაშისშვილისა თბილისის ქალაქის პირველს ჩასტის მესამეს კვარტალში იმ ვალის პასუხის გასაცემად, რომელიც ჰმართებს მას თბილისელისავე მცხოვრების პეტრე სარდიანტისა, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის ი კდ. და კზ.

ჩასვარდა.

დ. დაბარებულნი არიან გარდაცვალებულთ გორელთ გეურქა მიდლისოვისა და გაბრიელ შიხინოვის მოდავენი ახე, რომ ისინი უნდა საბუთებით გამოცხადდენ გორის უეზდის სუდში მიდლისოვის მოდავენი ივნისის ორს და შიხინოვისა მაისის დ.

ე. საყოველთაოდ გამოეცხადება რომ მოიპოვნენ გაქცეულნი სალდათი დენისა ბოლოვჩინკა და იმერელი ბააკა ბაკურაძე. რომელთაგანს პირველს ეს ნიშნები აქვს: არის ხუსტის პირისა, თმით ქერა, თვალ-ჭრელი. საშუალი ცხვირისა, ტანად ორი ადლი და ოთხი გოჯ ხნით არის ლ. წლისა.

ვ. ისპოლნიტელნის ექსპედიციიდამ ეცხადება საყოველთაო საცნობელად საქართველოსა შინა რომელ უფალს ინტენდანტურიის დეპარტამს საქართველოს მთავარმმართებელს და კავალერს ალექსი პეტროვიჩს ერმოლოვს მოუწერია ბრძანება მმართებლობისადმი, რათა გამოერთვასთ დაწესებული ბაჟი, გინა პოშლინა დამოწმებულთა და მიცემულთა უკვე საბუთთათვის შესრულებულთა შემდგომად განხსნისა აქა რუსეთის მმართებლობისა ესე იგი: ნასყიდობის სიგელთა ჩუქების წიგნთა და სხვათათვის და უბრძანებია, რათა მუწეოსთ უოველთა მცხოვრებთა საქართველოსათა, რომელ უკეთუ მათგანთა შორის ვისმესთანა გამოსჩნდება იმ გვარი საბუთი რომლისაგანცა ხაზინას უნდა მისცემოდა ბაჟი, და იგი არ მისცემია, მაშინ საბუთი იგი კანონიერად არ შეიწყნარება, და არ მიიღება არსად სასამართლოს ადგილში საბუთებად, ვინაიდგან მათ ესე იგი საქართველოს მცხოვრებთ განკარგულება მისის მაღალაღმატებულებისა მისთვს, რომელ წარედგინოსთა დანიშნულსა და წარსრულსა (ვადა) ჟამსა შინა დამოწმებისათვის საბუთთა იგეცემისთ სწორე ბაჟი და მოქმედება, უნდა მიიღონ არა სხვა რიგად, არამედ საკუთარ ზარალებად მათთვის, რომელ უამისოდ არათუ უნდა დაშთომილიყვნენ უნაყოფოდ უოველნი მათ შორის საკუთარნი სასაბუთო წერილნი, რომელნიცა შემდგომად რუსეთის მმართებლობის განხსნისა დაწერილ არიან სასამართლოთა ადგილთაგან დაუმტკიცებლად, არამედ გიდეც უნდა გარდა მისა მისცემოდენ სასჯელისა უზენაესის საქართველოს მმართებლობის განკარგულებისა მიერ, რომელიცა პუბლიკაციით განცხადდა ჩვგ წელსა ქართულსა, სომხურსა და თათრულსა ენათა ზედა და შემდგომადცა მეორეთ განცხადებითა იგ. ივლისს და დს ოკდომბერს

ჩუე წილსა არა დაცვისათჳს ჰსჯულიერისა წესისა ჟამსა მამულთა გასყიდვისა ანუ დაგირავებისასა.

ზ. პუნაურის გრიგოლ დეკანოზოვის უმა მამუკა თავისის ვაჟის შვილითა და ძმის წულით ნინიათი გორის უეზდში მცხოვრებნი, იმ ვალის პასუხის გასაცემად, რომელიც ჰმართებს მას დეკანოზოვს მღვდლის იოანე ერგემლიძისა, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის კ და იენისის ვ. და თ.

ჱ. თაკალის თეიმურაზ მაჩაბლის უმა ქაიხოსრო კობიაშვილი იმყოფება აზნაურს იოანე თულაშვილთან იმ თეთრში, რომელიც ჰმართებს ხსენებულს მაჩაბელს მის თულაშვილისა, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის იეკზ. და ლ.

თ. ტფილისის მცხოვრების გარდაცვალებულის იოსებ შიშმანოვის სახლი ქალაქს ტფილისს იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას სხვა და სხვას პალებისა. იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის კზ და იენისის ი და იგ.

ი. გარდაცვალებულის რუისელის მღვდლის სოლომონ ნანიევის ვენახი გორის უეზდის ხოვლეს რუისს იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას გორელის მოქალაქის სოლომონ ყუზანოვისა, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის კზ. და იენისის ზ. და თ.

აპასგარდა.

ია. დაპატიმრებულნი არიან ისინი, რომელთაც ვალი ჰმართებსთ ტფილისის მცხოვრების მღვდლის გრიქუროვის შვილს პოლოხას იმის დედას მაქთალინას და გარდაცვალებულს მღვდელს ეფრემ ალექსიევს, ან რომელთაც იმათი ჰმართებსთ ასე, რომ ესენი უნდა გამოსცხადდნენ ტფილისის უეზდის სუდში ორს თვეზე.

იბ. შუშლიკალიით ეცხადებათ პოვნისათჳს ნათესავთა ანუ მეპატრონისა დედაკაცის მართა ტიმოფეევასი, რომელიც თავის თავს უწოდებს რუსეთად მიცემულის პერესლავის ტერორის სოფლიდამ გლეხის კაცის ალექსი ლოგინოვის ცოლად. — პოვნისათჳს კვალად პატრონისა დატყვებულისა სამთაუცნობოთ კაცთაგან გზაზედ სოფლის შამქორის მახლობლად ფაშაგის ცხენისა თავის კვიცით და პოვნისათჳსვე დამნაშავეს ისმაილალის სადიხბეგოვლისა, და სალდათებისა მოღვიენის ინვალიდის ოგ ნომერის როტის ლო... ან კუშპერიუკისა და გრუზინსკის გრ... პოლკის ხაბუზა აბიაზოვის შვილის ... და პავლე ტოლორაოვის შვილის შჩერ..., რომელთაც ნიშნები. აბიაზოვი ტანად ... ორი ალი და შვიდი გრ., პირით შავგვრემანი, თმით წაბლის ფერის, თვალჭრელი, ოც და ... წლისა. — შჩერბაკოვი ტანად არის ორი ალი და ოთხნახევარი გრ., პირად თეთრი, ცოტად ჩირნაყვავილიანი, თმით წაბლის ფერი და თვალჭრელი მრჯავნან ... ნიშანი

იგ. თუ რომელთამე თავისუფალთა კაცთა საჭიროთა სწავლათა და ცოდნათ მქონებელთა ჰსურდესთ და თანკმა იყვნენ, რათა შევიდნენ თელავისა და სიღნაღის ოკრუგნის სასამართლოთ- მთარგმნელთ თანამდებობათ აღსრულებაში, მაშინ იგინი გამოცხადდნენ მათ სასამართლოთა შინა.

ილ. საქართველოში საცნობლად ყოველთავე ვუწყობსთ პირველად ესე, რათა ყოველთა, რომელთაცა ჰქონან საჩივრობანი, იგინი მისცემდენ არზათა, განცხადებათა და დამეტებათა არა სხვასა, არამედ განწესებულსა ღერბის ქაღალდსა ზედა, და ვინცა წინაამდეგ ამისა მოიქცევა, მაშინ მათ ზედა წარმოება არა რაი იქმნება, და მეორედ რათა ყოველნი პირობისა ანუ შეკრულების წერილნი დაიწერებოდენ თავთავის შესაბამის გვარის ღერბის ქაღალდსა ზედა, და თუ ესრეთ არა იქმნების, მაშინ მათ ჰსჯულიერი ძალი და მოქმედება არა ექმნებათ.

## შინაგანი ამბავი

მარტის კგ. რიცხვში იწერებიან სანკტპეტერბურღითგან, რომ ჟამის წირვის შემდგომად მისის დიდებულების საზამთროს სასახლეში ჰქონია ბედნიერება კელმწიფე იმპერატორთან წარმოსადგენისა თავისის წარმოსვლისგამო იქ ყოვლის სპარსეთის კარის მოხელეს მალმად ასან ხანს. —

## გარეთული ამბავი.

შორის მისა არსებითნი სარგებლობანი ევროპიისანი მიუცილებელად მოითხოვენ აღსრობათა განუსვენებლობათასა ისპანიის ამერიკასა შინა დასახლულისა ზარისთჳს, რათამცა მოუკლებელთა მაღაროთა ამა ქვეყანისა ნაწილისათა მალდვან ახლად კანონიერითა მდინარებითა შთასხმულყოფად რუთა შინა ვაჭრობისათა, დაყენებისაგან მუშაკობათასა მრავალთა მაღაროთა მექსიკისა და პერუსათა რაოდენობა მზას თეთრისა შემცირდა ვიდრე ათას მილიონადმდე. რომელნიცა თჳნიერ გარემოებისა ამის დაშთებოდენმცა ჩვენ შორის ევროპასა შინა. დავსძინოთვე ამას ყველად ათასიცა მილიონი, რომელიცა ჟამსა განმდიდრებულისა ვაჭრობისასა აღმოსავლეთისა ინდოეთისათანა გასრულა ევროპიითგან ჩვენდამო მოტანილთა საქონელთა თჳს, და ჩვენ თანამდებ ვიქნებით, რათა ვეთანხმნეთ, რომელ არცა სიმკვეთრე ვაჭრობითთა მოგვარდულებათა, არცა აღრიცხულება ნავგოცანელთა არა გარემიაქცევენ სავნებელთა შედრგინებათა ესრეთ სა აღრეულებისათა თანასწორსა ზომასა შინა. საფუძველნი საზოგადოობითისა სამართლისანი, რომელთაცა სიმტკიცე. ჰშთების მეირფასად ევროპიისათჳს, საგონებელ არს, შეირყევენ ქვეყანათაგან რესპუბლიკისა შეერთებულთა სამფლობელოთა და პორტუღალიისათათა, რომელთაგან პირველმან დაიპყრა პენსაკოლი, ხოლო მეორემან მონტევიდეო ორთავე მიზეზისაგამო სიმყარისა. სიშორისგამო გზისა ჩვენ ძნელად მოგვის სხვა წინაადადებისა ამისთჳს; გარნა მით ნუგეშინისცემებით რომელ ორნივე ესე საგანნი შეერთებულ არიან მიმოთქმათადმი, მამასადამე იგინი შეიპყრობენ თავთა თჳსთა მიერ არა სიმხნესა მხედრობათასა და არა საჭურველსა, არამედ გამოცდილებასა დიპლომატიკისა და კალმისა.

ევროპითა სახითა არა ვითარიმე მიზეზი არს შიშნეულებად განასლებისათჳს სამინელთა მოლაღარებათა ბრძოლისათა, რომელნიცა იპყრობოდენ და კნინღა განლევდენ ევროპას; ვიდრემდე თუსლნიცა უთანხმოებისანი ჟამსა პირველ დასაწყისისა თჳსისასა აღსრობილ იქმნებიან ვასხებულთა სარგებლობათა მიერ ხუთთა დიდთა სამეფოთა სამპყრობელოთასა, რომელთაცა უკისთ მზად უმეტეს მილიონისა სალდათნი და მათ მიერ განკარგული მშვიდობა ყოვლგან.

(ამისი შესრულება შემდგომში იქმნება)